

ბიუჯეტირება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ავტორი: ჯონი ნეფარიძე

დაჩი ცხვარაძე

ანა ხაჩიროვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი:

ნიკოლოზ ყაველაშვილი

თბილისი

2020

მიმოხილვა:

ნაშრომში წამოდგენილია კვლევა ბიუჯეტირების მეთოდების შესახებ და ასევე მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტების პრაქტიკებიდან. გამოკვლეული იქნა თუ რა მეთოდებს იყენებენ უნივერსიტეტები ბიუჯეტირებისთვის, რა არის თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები და რომელია ყველაზე რელევანტური ბიუჯეტირების პროცესისთვის. ამასთან, საუბარია დანახარჯთა აღრიცხვის სისტემებზე, მათ მნიშვნელობასა და გამოყენების უპირატესობებზე ბიუჯეტირებაში. ნაშრომში განხილულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიუჯეტირების მეთოდის არსებობა ორგანიზაციაში და როგორ გამოიყენება მისგან მიღებული ინფორმაცია მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული თემის საკვლევად შეირჩა უმაღლესი განათლების სექტორი. უნივერსიტეტების კვლევის შედეგად გამოვლინდა მათი მიდგომები და არსებული პრაქტიკები ბიუჯეტირების მეთოდთან დაკავშირებით.

კვლევის კონცეფტუალური სტრუქტურა აერთიანებს რიგ კონცეფციებს, რათა უკეთესად იქნას ახსნილი დანახარჯთა აღრიცხვის სრული სისტემა და მისი გამოყენების უპირატესობა ბიუჯეტირების პროცესში. სრული აღრიცხვის კონცეფტუალური სტრუქტურა მენეჯერებს საშუალებას აძლევს, გააანალიზონ მისი დანერგვა, დიზაინი და მათთან დაკავშირებული პროცესები და პრობლემები.

კვლევა ეყრდნობა სხვადასხვა მკვლევრის ნაშრომებს, რომლებიც იკვლევენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ ბიუჯეტირების მეთოდებს, ასევე დანახარჯთა აღრიცხვის პრაქტიკებს და მათი განვითარების შესაძლებლობებს. აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით, გამოვლინდა მსოფლიოში ბიუჯეტირების საუკეთესო პრაქტიკა. ასევე გამოვლინდა სხვადასხვა განვითარებული სახელმწიფოს მიდგომები და გატარებული რეფორმები უნივერსიტეტების ბიუჯეტირების სისტემების გაუმჯობესებისთვის უმაღლესი განათლების სექტორში.

საბოლოოდ, ნაშრომში შეჯამებულია ქართული უნივერსიტეტების კვლევისას მიღებული შედეგები. განხილულია, საჭიროებს თუ არა ის განვითარებას და რა კონკრეტული პრობლემები არსებობს დღესდღეობით ბიუჯეტირებათან დაკავშირებით ქართულ უნივერსიტეტებში.

სარჩევი

შესავალი	5
პრობლემის განსაზღვრა.....	12
საკვლევი კითხვები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები.....	19
ნაშრომის ჰიპოთეზა	19
კვლევის ამოცანები:.....	19
კვლევის მეთოდოლოგია.....	20
თავი I.....	22
1.1.სრული აღრიცხვის მეთოდი, მისი უპირატესობები და ნაკლოვანებები	22
1.2. დანახარჯების ობიექტი და დანახარჯების ერთეული.....	31
1.3. ზედნადები ხარჯები	32
1.4. დანახარჯთა სრული აღრიცხვის სისტემის მიმოხილვა უცხოეთის მაგალითზე	34
1.5. მიმოვიხილოთ ბიუჯეტირების ძირითადი მოდელები და ასევე მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები.....	38
თავი II	45
2.1.უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში.....	45
2.2. კვლევის რაოდენობრივი საქართველოს უნივერსიტეტებში.....	47
2.3.კვლევის შედეგები	52
2.4. ძირითადი პრობლემები უმაღლესი განათლების სისტემაში.....	59
დასკვნები და რეკომენდაციები.....	60
გამოყენებული ლიტერატურა	61
დანართი 1	64